

სსიპ არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის
2006 წლის სამეცნიერო-საორგანიზაციო საქმიანობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

სსიპ არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევების პრიორიტეტული მიმართულებებია: მართვის პროცესები, ინფორმატიკა, ენერგეტიკის პრობლემები.

ინსტიტუტში 2006 წლის განმავლობაში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები მიმდინარეობდა ფუნდამენტური კვლევის ხუთი პროგრამის მიხედვით. სულ 2006 წელს ინსტიტუტში მუშავდებოდა 14 თემა. საანგარიშო წელს დასრულდა 9 სამუშაო, დანარჩენი 5 გარდამავალია და სამუშაოები გაგრძელდება შემდგომ წლებში. ფუნდამენტური კვლევის პროგრამების მიხედვით ზემოხსენებული 14 სამეცნიერო-კვლევითი სამუშაო განაწილებული იყო შემდეგნაირად:

- ა) პროგრამირება და კომპიუტერიზაციის საკითხები, კომპიუტერული ლოგიკა, ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიები – 1 გარდამავალი სამუშაო.
- ბ) კომპიუტერული ლინგვისტიკა – 1 დასრულებული სამუშაო.
- გ) მართვა ტექნიკურ, ორგანიზაციულ და სოციალურ-ეკონომიკურ სისტემებში, ოპტიმალური პროცესების მართვა, მართვის სისტემების მოწყობილობათა დამუშავება და შექმნა – 4 დასრულებელი სამუშაო და 4 გარდამავალი.
- დ) კომპიუტერული სისტემების დამუშავება და შექმნა – 1 დასრულებელი სამუშაო.
- ე) ენერგოსისტემების ეფექტურობის ამაღლება, ენერგეტიკის ფიზიკური და ეკოლოგიური პრობლემების კვლევა – 3 დასრულებელი სამუშაო.

2006 წელს დამთავრებული თემების
მეცნიერული შედეგები

1.2.4 – კომპიუტერული ლინგვისტიკა

2. ქართული ტექსტის ავტომატური სინტაქსური ანალიზის შექმნა

ჩატარდა ქართული სინტაქსის რამდენიმე ასპექტის გამოკვლევა, რომელიც საფუძვლად დაედო ქართული წინადადების სინტაქსური ანალიზის სისტემას. ამ კვლევის ერთ-ერთ საგანს წარმოადგენდა ქართული NP-ს (Noun Phrase) სტრუქტურის შესწავლა და კერძოდ – მსაზღვრელ-საზღვრულების დამოკიდებულებათა თავისებურებების გამოკვლევა; სამუშაოს მეორე ფუნდამენტურ ასპექტს კი წარმოადგენდა ზმრუ-აქტანტურ დამოკიდებულებათა კვლევა.

ამავე დროს განხორციელდა ანალიზური სისტემის კომპიუტერული რეალიზაციის პირველი ცდაც, რომელსაც საფუძვლად დაედო „მრავალენოვანი მორფოლოგიური ინტერპრეტორი“. სწორედ ეს უკანასკნელი სისტემა წარმოადგენს საკანდიდატო დისერტაციის („ლინგვისტური კვლევების ხელშემწყობი ავტომატური სისტემების შემუშავება და გამოყენება“) ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს, რომელიც 2006 წლის 6 ოქტომბერს ლ. ლორთქიფანიძემ წარმატებით დაიცვა ტექნიკური უნივერსიტეტის საბჭოზე - 05.13.01 – მართვა ტექნიკურ სისტემებში.

ლ. ლორთქიფანიძე 2 თვით მიწვეულ იქნა სტოკჰოლმის KTH-ში (Kings Technical High school). ეს მივლინება წარმოადგენდა მრავალწლიანი თანამშრომლობის ერთ-ერთ ეტაპს ინსტიტუტის ენობრივი და სამეტყველო

სისტემების განყოფილებასა და KTH-ს შორის, რომლის საფუძველია ლინგვისტიკური (მორფოლოგიური) მხარდამჭერი სისტემის შექმნა რუსულენოვანი Prophet სისტემისთვის, რომელიც, თავის მხრივ, რუსული ტექსტის ბეჭდვის დამხმარე სისტემას წარმოადგენს. ამ თანამშრომლობითა, აგრეთვე, გაპირობებული ლ. ნოზაძის მივლინება KTH-ში. გამოყენებით მიზანს ემსახურება რუსული მორფოლოგიური გენერატორის შექმნაც, რომელსაც, ამავე დროს, გარკვეული ფუნდამენტური ლირსებაც გააჩნია (მაგალითად, როგორც ენობრივი ცოდნის მოდელირების ცდას, თუნდაც მხოლოდ მორფოლოგიურ დონეზე). ამ თვალსაზრისით დამატებითი ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება ლ. ლორთქიფანიძის საკანდიდატო დისერტაციაში ასახული „მორფოლოგიური ფუნქციების ჩაწერისა და აღწარმოების“ სისტემას, რომელიც შეიძლება განხილული იყოს როგორც ენობრივი ცოდნის შეძენის მოდელი.

3.1.1. – მართვა ტექნიკურ, ორგანიზაციულ და სოციალურ-ეკონომიკურ სისტემებში, ოპტიმალური პროცესების მართვა, მართვის სისტემების მოწყობილობათა დამუშავება და შექმნა

3. კომპიუტერში კლავიატურით ან ხმოვანი ფაილებით შეყვანილი ქართული ტექსტების სინქრონული გახმოვანება

თემის მთავარი მიზანია კლავიატურიდან შეყვანილი ფრაზებისა და ტექსტების დამუშავება და გახმოვანება. პროგრამა შეიძლება გამოყენებული იქნას იმ ადამიანების მიერ, რომელთაც გააჩნიათ მეტყველების ორგანოების დეფექტი. ასევე, ეს პროგრამა გამიზნულია დაბეჭდილი ტექსტების გასახმოვანებლად.

7. სხვადასხვა ტიპის ტექნიკური სისტემებისათვის აქტიური ფილტრების პრეექტირება, აგება და გამოყენება

აქტიური ფილტრები ფართოდ გამოიყენება ენერგეტიკაში სისტერისა და ძაბვის რეგულატორების მოწყობილობებში, კავშირგაბმულობის არხებში, სეისმურ ხელსაწყოებში, ხმოვან აპარატურაში სხვადასხვა სიგნალების სისტერული სპექტრის შესასწავლად, მექანიკური ვიბრაციების დასადაგენად.

განხილული და აგებულია უნივერსალური აქტიური ფილტრი, რომელიც გამოიყენება ერთდროულად როგორც მადალი სისტერის ფილტრი, დაბალი სისტერის ფილტრი და ზოლოვანი ფილტრი.

ჰიდროაგრეგატის სისტერის რეგულატორისათვის დამუშავებული და აგებულია ზოლოვანი ფილტრი ძირითადი სისტერის მესამე ჰარმონიკის მიხედვით. ასეთი კონსტრუქციის ფილტრი საშუალებას გვაძლევს მიგიდოთ სისტერის გადახრის პირველი წარმოებული შედარებით დიდი წონითი კოეფიციენტით. მისი გამოყენებით სისტერის რეგულატორის მართვის ალგორითმში შესაძლებელია გავაუქმოთ იზოდრომული შპუპაგშირი, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს სისტემის კონსტრუქციას და ამცირებს თვითდირებულებას.

დამუშებული და აგებულია ზოლოვანი ფილტრი დაბალი სისტერების გასაზომად. ასეთ ფილტრს შეუძლია რთული რხევებიდან გამოყოს როგორც ძირითადი, ასევე შემადგენელი ჰარმონიკები. აგებულია მოწყობილობა ბგერითი რხევების გასაზომად.

ჩატარებულია ჩებიშევის, ბესელის, ბატერვორტის, სალეისა და ქეის ფილტრების შედარებითი ანალიზი. სწრაფმოქმედების მიხედვით შერჩეული და გამოყენებულია ჩებიშევის ფილტრი, ხოლო სიხშირული მახასიათებლის ხაზოვნების მიხედვით – ბესელის ფილტრი. აგებულია 5-დან 100 კვტ-მდე პიდროაგრეგატის სიხშირის რეგულატორის მართვის მოწყობილობის მაკეტი, რომელიც ამჟამად გამოცდას გადის. ჩატარებულია სამუშაოები ამ რეგულატორის საცდელი ნიმუშის დასამზადებლად. რეგულატორი თავისი კონსტრუქციით და მართვის ალგორითმით განსხვავდება არსებულებისაგან -- აქვს უკეთესი დინამიური მახასიათებლები და შედარებით დაბალი (30-35%-ით) ღირებულება.

დამუშავებულია არტერიული წნევის გამზომი სამედიცინო მოწყობილობის სქემა, რომელშიც გამოყენებული ზოლოვანი ფილტრი კოროტკოვის ტონების აღმოჩენის ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს.

8. შემოსაზღვრულ გარემოში პაერის იონიზაციის ხარისხის ტელეავტომატური კონტროლის სისტემის დამუშავება

შესრულებული სამუშაო თავისი მნიშვნელობით და შინაარსით უაღრესად აქტუალურია. იგი ეხება სხვადასხვა ნიშნით იონიზებული პაერის გავლენას ადამიანის ჯანმრთელობაზე და, ზოგადად, სამყაროს ცოცხალ ორგანიზმებზე; ასევე, მის ეფექტურ მოქმედებას მცენარეული სამყაროს ზრდა-განვითარების აქტივაციის პროცესზე და პაერის მტვრის ნაწილაკებისაგან გაწმენდა-გასუფთავების პრობლემას.

9. MRC ტიპის გარდამქმნელების აგების პრინციპების დამუშავება, კვლევა და მათი თავისებურებების დადგენა

ექსპერიმენტული გამოკვლევა ჩატარდა განყოფილების მიერ დამზადებული პასიურ ელემენტებზე აგებული მრავალპარამეტრული ბრტყელპარალელური ფორმის MRC ტიპის გარდამქმნელის მაკეტის გამოყენებით, რომელიც შეიცავდა სამ იდენტურ სექციას. შედგენილი იდენტური სექციების გამოყენების საფუძველზე მაკეტი იძლევა სხვადასხვა სტრუქტურული სქემის შედგენის საშუალებას. სექციების შეურთების მიხედვით გამოკლევული იყო სხვადასხვა სახის გარდამქმნელები: მიმდევრობითი, პარალელური, T-სებრი, Π-სებრი და კომბინირებული. ამ გარემოებამ საშუალება მოგვცა გაგევფართოებინა კვლევის არეალი.

დადგინდა, რომ გარდამქმნელების ტოპოლოგია ხელს უწყობს მგძნობიარობის გაზრდას, ნაკადშებმულობის დანაკარგების მინიმუმამდე დაყვანას და მახვილად მიმართული მაგნიტური ველის შექმნას, რაც უზრუნველყოფს წინასწარ მოცემული საექსპლუატაციო მახასიათებლების მიღწევას.

დადგენილია, რომ დამუშავებული ბრტყელპარალელური MRC ტიპის გარდამქმნელი, როგორც მართვის ობიექტი, წარმოადგენს მართვის სისტემის კვაზიტროფივ რგოლს.

მიღებული ფუნქციონალური შესაძლებლობების გაფართოება განპირობებულია იმით, რომ ერთ გამზომ-საკონტროლო სექციაში (კვანძში) განხორციელდა სამი ელექტრული პარამეტრის – ურთიერთინდუქციურობის, ტევადობისა და წინაღობის ერთდროული ცვლილება. დადასტურდა მათი მოსალოდნელი გავლენა გამომავალ მახასიათებლის ხასიათზე.

დადგენილია დამუშავებული ბრტყელპარალელური MRC ტიპის გარდამქნელის გამოყენების შესაძლებლობა და მიზანშეწონილობა ტექნიკის სხვადასხვა დარგში. ამავე დროს, ისინი არიან ტექნოლოგიურნი (დამზადების თვალსაზრისით), უნივერსალურნი და მაღალსაიმედონი, ვინაიდან გამომავალ სიგნალზე გავლენას არ ახდენს მაგნიტური პისტერეზისი და სიბლანტე.

ექსპერიმენტულმა კვლევამ დაადასტურა თეორიული შედეგებისა და დებულებების უტყუარობა.

3.1.2. – კომპიუტერული სისტემების დამუშავება და შექმნა

11. სასამართლო-ფონოსკოპიური ექსპერტიზის ჩატარების მიზნით მეთოდური რეკომენდაციების მომზადება

დამუშავდა მეტყველების ფონოგრამის კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დანიშვნის, მომზადებისა და ჩატარების რეკომენდაციები პიროვნების ვინაობის დადგენის მიზნით.

მოცემული მეთოდური რეკომენდაციები განკუთვნილია საგამომმიებლო და სასამართლო ორგანოების მუშაკთა სახელმძღვანელოდ, როდესაც სამართლდამრდველის მამხილებელ ნივთიერ მტკიცებულებებად წარმოდგენილია პიროვნების მეტყველების ფონოგრამა და საჭიროა ამ უკანასკნელის საექსპერტიზო კრიმინალური კვლევა პიროვნების იდენტიფიკაციის მიზნით.

3.2.1. – ენერგოსისტემების ეფექტურობის ამაღლება, ენერგეტიკის ფიზიკური და კოლოგიური პრობლემების კვლევა

12. საქართველოს სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის მონაცემთა ბაზის შექმნა ინტეგრირებული მრჩეველი სისტემით

ინფორმაციის გარდაქმნის პრობლემების განყოფილებასთან ერთად (ლ. გვარამაძის ჯგუფი) დამუშავებულია საქართველოს სათბობენერგეტიკული კომპლექსის მონაცემთა ბაზის ინტეგრირებული მრჩეველი სისტემა, რომელიც მოიცავს მონაცემთა ბაზაში ელექტროსადგურების, ენერგიის წყაროების და ამ სადგურებისა და წყაროების ძირითადი პარამეტრების (სიმძლავრა, გამომუშავებული ელექტროენერგია წლების მიხედვით, გარემოზე ზემოქმედება, საბადოს სახეობა, ადგილმდებარეობა, წლიური მოპოვება, რესურსი და სხვა) ძებნას. აღნიშვნული მრჩეველი სისტემა უზრუნველყოფს ოპერატიულ ნავიგაციას საძიებო ობიექტებს შორის.

დამუშავებულია, აგრეთვე, მონაცემთა ბაზაში ინფორმაციის დიაგრამებისა და გრაფიკების სახით წარმოსახვის სისტემა, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა ობიექტის ერთტიპიური პარამეტრების ვიზუალური შედარებისათვის.

13. რესაუბლივის ენერგეტიკის ეფექტურობის ამაღლების პრიორიტეტების განსაზღვრის მათემატიკური მოდელი

პროექტში წარმოდგენილია საქართველოს რესაუბლივის ექვს ენერგეტიკულ რეგიონად დაყოფის დეტალური სქემა ელექტროენერგიის საწარმოებლად აუცილებელი ბუნებრივი რესურსების გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მითითებით, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია მათემატიკური მოდელი

რეგიონების ელექტროენერგიით მომარაგების რაციონალურად დაკმაყოფილების გეგმის შემუშავების მიზნით რესურსთა არსებული მარაგის შესაძლებელი გამოყენების პირობებში. მოდელში გათვალისწინებულია ენერგეტიკული ბლოკების ასგებად აუცილებელი და დასაშვებ დანახარჯთა მოცულობები, რეგიონებს შორის ელექტროენერგიის ტრანსპორტირების ხარჯები და სხვა პარამეტრები. მათემატიკური მოდელი აგებულია აღნიშნული ხარჯების მინიმიზაციის ექსტრემალური ამოცანის სახით და გადაჭრილია დეკომპოზიციის მეთოდის გამოყენებით. პროექტს აქვს პრაქტიკული დირექტულება, რადგან რეალური მონაცემებისათვის შეიძლება დადგენილ იქნას ენერგეტიკის სფეროსათვის გასათვალისწინებული ფულადი დანახარჯების ოპტიმალური ოდენობა სათანადო პრიორიტეტების გათვალისწინებით.

**14. თბური ტუმბოს დანადგარების გამოყენების ეფექტურობის ზონების შეფასება
გათბობისა და პაერის კონდიცირების კომპლექსური სითბო-სიცივით
მომარაგების სისტემებისათვის**

დამუშავებულია გათბობისა და პაერის კონდიცირების სისტემებში თბური ტუმბოს დანადგარების მუშაობის იმიტაციური მოდელები, რომელთა საფუძველზეც განსაზღვრულია დასახლებული პუნქტებისა და ცალკეული ობიექტების სითბო-სიცივით მომარაგების ოპტიმალური სქემები. დადგენილია თბური ტუმბოს გამოყენების ეფექტურობის ზონები კლიმატური რაიონების მიხედვით, სხვადასხვა სახის დაბალპოტენციური სითბოს წყაროებისა და სათბობის სხვადასხვა დირექტულების შემთხვევაში. მიღებული კვლევის შედეგები განზოგადებულია სხვადასხვა კლიმატური პირობების მქონე ქვეყნებისათვის.

საანგარიშო წელს გამოქვეყნებული ნაშრომები

2006 წელს გამოქვეყნდა ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა მორიგი კრებული (№10), რომელიც მიეძღვნა ინსტიტუტის დარსების 50-ე წლისთავს. კრებულში დაბეჭდილია 48 სტატია, აქედან 44 – ინსტიტუტის თანაშრომელთა ავტორობით. გამოქვეყნებული სტატიების ნუსხა ანგარიშს თან ერთვის.

ინსტიტუტის სამეცნიერო-საორგანიზაციო საქმიანობა

საანგარიშო წელს საქართველოს მთავრობის 2006 წლის 16 მარტის №58 დადგენილებით ინსტიტუტი დაფუძნდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად. მოხდა ინსტიტუტის სტრუქტურული რეორგანიზაცია, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდა 6 სამეცნიერო სტრუქტურული განყოფილება. ჩატარდა განყოფილების გამგეების და სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებელი კონკურსები. განყოფილებების ხელმძღვანელებად არჩეული იქნება:

ოპტიმალური მართვის პროცედურების განყოფილება – ფიზ. მათ. მეცნ. კანდიდატი ვილჰელმ მაისურაძე;

მართვის სისტემების მოდელირებისა და კომპიუტერული გრაფიკის განყოფილება – ტექნიკის მეცნ. კანდიდატი თ. ტროფაშვილი;

ენობრივი და სამეტყველო სისტემების განყოფილება – ფილოლოგ. მეცნ. დოქტორ გიორგი ჩიკოიძე;

ინფორმაციის გარდაქმნის პროცედურების განყოფილება – ტექნიკის მეცნ. დოქტორი ოთარ ლაბაძე;

ენერგეტიკის პრობლემებისა და ტელეავტომატური სისტემების განყოფილება – ტექნიკის მეცნ. დოქტორი თენგიზ მაგრაქველიძე;

მანქანური ინტელექტის პრობლემების განყოფილება – ფიზ. მათ. მეცნ. კანდიდატი კარინა კვინიხიძე.

ინსტიტუტის შეძლებისდაგვარად შეინარჩუნა ტრადიციული თემატიკა. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ ხერხდება ახალგაზრდა კადრების მოზიდვა.

სამეცნიერო საბჭოს არჩევნებამდე შექმნილია სამეცნიერო საბჭოს შემცვლელი დროებითი კომისია, რომელმაც მოისმინა, განიხილა და დაამტკიცა თემატური გეგმების ანგარიშები.

საანგარიშო წელს დამთავრდა 9 სამეცნიერო-კვლევითი სამუშაო. წარმოდგენილ ანგარიშს თან ერთვის სათანადო კომისიის მიერ სამუშაოს მიღების აქტები.

კადრების ხარისხობრივი შემადგენლობა:

ინსტიტუტში ამჟამად მოღვაწეობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამი ნამდვილი წევრი.

ენერგეტიკის დარგში სადოქტორო დისერტაცია დაიცვა აკად პ. გომელაურის სახ. ენერგეტიკის პრობლემებისა და ტელეავტომატური სისტემების განყოფილების თანამშრომელმა ნ. მირიანა შვილმა.

ენობრივი და სამეტყველო სისტემების თანამშრომელმა ლ. ლორთქიფანიძემ და აკადემიკოს მინდია სალუქვაძის ასპირანტმა ხ. ბარდაველიძემ დაიცვეს მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხები.

ინსტიტუტს ჰყავს 2 ასპირანტი. მომზადებულია 1 საკანდიდატო დისერტაცია.

2007 წლის 1 იანვრისათვის მართვის სისტემების ინსტიტუტში მუშაობს 90 თანამშრომელი, აქედან 6 – ხელშეკრულებით. სამეცნიერო პერსონალის საერთო რაოდენობაა 39. აქედან 10 მეცნიერებათა დოქტორია, 19 – მეცნიერებათა კანდიდატი.

ცნობები საავტორო მოწმობების, პატენტებისა და ლიცენზიების შესახებ ანგარიშს თან ახლავს.

საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობა

ინსტიტუტი დაარსების დღიდან ურთიერთობს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მართვის პრობლემების ინსტიტუტთან, უკრაინისა და ბელორუსიის მეცნიერებათა აკადემიებთან. კარგი კონტაქტები აქვს ინსტიტუტს აშშ-ს სამეცნიერო კვლევით ცენტრებთან (ბერკლის უნივერსიტეტი, ჯორჯიის უნივერსიტეტი, ნიუ-ორგანის უნივერსიტეტი, ფლორიდის უნივერსიტეტი); გერმანიის სამეცნიერო წრეებთან (დარმშტადტის უნივერსიტეტი და ტრიერის უნივერსიტეტი); შვეციასთან (სტოკჰოლმის სამეცნიერო უმაღლესი ტექნიკური სკოლა).

სტოკჰოლმის სამეცნიერო უმაღლესი ტექნიკური ინსტიტუტის მეტყველების მუსიკის და სმენის განყოფილებასთან ერთად სრულდება ერთობლივი პროექტი, რომლის შესრულებაში მონაწილეობს მეცნიერ-თანამშრომელი ლ. ნოზაძე, შვედური გრანტის საფუძველზე. მას სამუშაო ადგილი მიჩნილი აქვს ზემოაღნიშნულ ინსტიტუტში (ქ. სტოკჰოლმი).

კომპიუტერული ლინგვისტიკის დარგში ინსტიტუტი თანამშრომლობს ამსტერდამის (ნიდერლანდები) უნივერსიტეტის ლოგიკის, ენის და გამოთვლების

ინსტიტუტთან. თანამშრომლობის ფორმას შეადგენს ფორუმების ერთობლივი ორგანიზაცია ქ. თბილისის სამეცნიერო ცენტრთან “ენა, ლოგიკა, მეტყველება”, რომლის წევრია მართვის სისტემების ინსტიტუტი. მათ მიერ ჩატარებულ საერთაშორისო სიმპოზიუმებში აქტიურად მონაწილეობენ ინსტიტუტის თანამშრომლები.

INTAS პროექტის ჩარჩოებში სრულდება თემა “რთული სამედიცინო ობიექტების მდგომარეობის ავტომატური გამოცნობის მეთოდები და ალგორითმები” (INTAS Ref. Nr 04-77-7067), ხელმძღვანელი ტექნ. მეცნ. კანდიდატი მ. ხაჩიძე.

2006 წელს ინსტიტუტის თანამშრომელმა, პროფესორმა ბესარიონ შანშიაშვილმა მიიღო მონაწილეობა მოსკოვის V საერთაშორისო კონფერენციაში “სისტემების იდენტიფიკაცია და მართვის ამოცანები” SICPRO’06. მან გაიმარჯვა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ 2006 წლის 31 ივლისს გამოცხადებულ კონკურსში – “მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო გრანტები სამეცნიერო ლონისძიებებში მისაღებად” და მიიღო გრანტი.

ენობრივი და სამეცნიელო სისტემების განყოფილების თანამშრომელი ლ. ლორთქიფანიძე 2006 წელს ორი თვით (აპრილი, მაისი) მიწვეული იყო სტოკოლმის KTH-ში (Kings Technical High school).

დანართი 1

სსიპ არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის მიერ 2006 წელს
გამოცემულ კრებულზე (№10) ინსტიტუტის თანამშრომელთა შრომების სია

მართვის თემითი

1. НЕСКАЛЯРНАЯ ОПТИМИЗАЦИЯ И ДИФФЕРЕНЦИАЛЬНЫЕ ИГРЫ В СМЫСЛЕ ПАРЕТО – В.Майсурадзе, М.Салуквадзе, В. Габисония
2. МАТЕМАТИЧЕСКОЕ МОДЕЛИРОВАНИЕ ЭКОНОМИЧЕСКИХ ЦИКЛОВ И ВЫРАБОТКА ОПТИМАЛЬНОЙ ИНВЕСТИЦИОННОЙ СТРАТЕГИИ - М. Салуквадзе, Н. Джибладзе, Т. Обгадзе, Н. Тушишвили
3. მართვის ოპტიმალური კანონებისა და რებულატორის პარამეტრების გერჩევის პრინციპები – ბ. ჯიბლაძე, პ. ჯოხაძე, პ. ბოჩიკაშვილი
4. ტრივია სტაციონარული ინდუსტრიის სისტემების ანალიზი და სინომინაციების გადასაცავი – ბ. ჯიბლაძე, თ. ლომკაცი, ლ. გაჩეჩილაძე
5. მართვის ტრივია სისტემების კორელაციური ანალიზი და სინომინაცია – ბ. ჯიბლაძე, თ. ლომკაცი, ლ. გაჩეჩილაძე
6. ვენოვანი მიმღებების ფორმობრავია არასრული მონაცემების პირობებში – ბ. ჯიბლაძე, პ. ბოჩიკაშვილი, პ. ჯოხაძე
7. ПАРАМЕТРИЧЕСКАЯ ИДЕНТИФИКАЦИЯ И ПОДТВЕРЖДЕНИЕ МОДЕЛИ ЛИНЕЙНЫХ НЕСТАЦИОНАРНЫХ СИСТЕМ - В. Шаншиашвили
8. ИДЕНТИФИКАЦИЯ И МОДЕЛИРОВАНИЕ НЕЛИНЕЙНЫХ СИСТЕМ С ОБРАТНОЙ СВЯЗЬЮ - В. Шаншиашвили
9. თბობამჭარობის პროცესის პარამეტრული იდენტიფიკაცია – ბ. ნარიძანაშვილი, ბ. შანშიაშვილი
10. О НЕКОТОРЫХ ВОПРОСАХ НЕСКАЛЯРНОЙ ОПТИМИЗАЦИИ - В. Майсурадзе
11. ПРИМЕНЕНИЕ МНОГОКРИТЕРИАЛЬНОЙ ОПТИМИЗАЦИИ ДЛЯ ВЫБОРА ЭФФЕКТИВНОГО ПЛАНА ЛЕЧЕНИЯ - Д. Сихарулидзе, В. Майсурадзе
12. ბრძელვადიანი პროექტების დაბებუა გეზღუდული რესურსების პირობებში – პ. გაბისონია, ქ. კუთხაშვილი
13. ლეგენის ზომის იგ ინგრიანტული ბაზრმალებების შესახებ, რომლებიც ვლობენ ერთადგრომის თვისებას – ქ. ომიაძე, ბ. კილასონია
14. დიალოგის რებაზიუმების ზოგიერთი თავისებურებები დაკრობრამებაში – ბ. კილასონია

მართვის სისტემები

15. ტემპერატურისა და ტენიანობის გადაწყობადი კონტროლისა და ადაპტური მართვის მიკროპროცესორული სისტემა – ბ. ყავლაშვილი, ლ. გვარამაძე, თ. საანიშვილი, თ. ლაბაძე
16. კონტაქტური პირაპირა შედეგების დონების სტადიის ადაპტური მართვის თავისებურებანი – თ. ლაბაძე, ბ. ყავლაშვილი, თ. საანიშვილი, ლ. გვარამაძე
17. ტესიერი მრავალფენიანი ღია მოცულობითი ვორმის კირკელადი გარდამშენებების ურთიერთიერდებულობის გამოყენების ზოგადი ხერხი – თ. ლაბაძე, ბ. ცერცვაძე, გ. კუბლაშვილი, პ. მანჯავიძე, დ. კოდალაშვილი
18. საძართველო ატომური ელექტროსადგურის აგენტის საკითხის შესახებ – თ. მაგრაქველიძე

19. Тბობაცემის ინტენსივიკაცია და თბობადამცემი აპარატების ეფექტურობის ამაღლების პრობლემები – თ. მაგრაქველიძე, ნ. ბანცაძე, ხ. ლეკვეიშვილი, ხ. ლომიძე
20. მცირე პესების ორი საქართველოს ენერგეტიკაში – თ. მაგრაქველიძე, ხ. ლომიძე, ი. არჩუაძე
21. სითბო-სიცივით მომარაბების ენერგოდამზობი სისტემების ენერგოეკონომიკური ეფექტურობა თბერი ტუბმბოს დანადგარების გამოყენების – ნ. მირიანაშვილი, ქ. ვეზირიშვილი, მ. ჯანიკაშვილი
22. საქართველოს გეოიორგული ენერგიის რაციონალური გამოყენების პრობლემის ბაზარული ფაზები – ქ. ვეზირიშვილი, ნ. მირიანაშვილი, ო. ვეზირიშვილი
23. სიხშირის რეგულატორის გარეობისა და გამოცდის სტანდო – თ. ტროფაშვილი
24. ბადაადგილების გარდამსახი – ნ. გძელიშვილი
25. პეტროგრაფიული ჰაეროიონიური გამოყენების მიზანი – გ. ზაქარევიშვილი, გ. ხათაშვილი

06 მომატიკა

26. “ОПТИМАЛИСТСКИЙ” ПУТЬ РАЗВИТИЯ ЯЗЫКОВЫХ МОДЕЛЕЙ - Г.Чикоидзе
27. КЛАССИФИКАЦИЯ МИНИ-ПАРАДИГМ («РЯДОВ») ГРУЗИНСКОГО ГЛАГОЛА В СООТВЕТСТВИИ С ГРАММЕМНЫМ СОСТАВОМ ИХ СОДЕРЖАНИЯ - Г. Чикоидзе
28. ენობრივი პროცესორების სინტაქსური კომპონენტი – ლ. მარგველანი
29. სალექსიკონი ერთეულთა აღმერა ლექსიკური ფუნქციების მიხედვით – ლ. მარგველანი, ნ. ჯავაშვილი
30. GeoTrans სისტემის გამოყენება ქართულ „სკოლეკტერი“ – ლ. ლორთქიფანიძე
31. პარალელური ქართული და ინგლისური ენის უნიადებების მსაზღვრეულთა აუცილებლობა-ვაკულტატურობის თვალსაზრისით – ნ. ჯავაშვილი
32. სინტაქსური კაგშირების ტიპები ქართულში – ნ. ამირეზაშვილი
33. უნიადების უეპრთა ინდიქსაციის კომპიუტერული უზრუნველყოფა – ლ. სამსონაძე
34. КЛАССИФИКАСИЯ РУССКИХ ОМОНИМОВ - ე. დოკვაძე
35. საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემების უსავრთეოების შეფასების ლობიკურ-ალბათური მოდელი – ე. ჩიკაშვა, ზ. ცირამუა, მ. გეგეჭკორი, თ. ქვანია, თ. კაიშაური
36. ქსელური ეფექტური მომსახურების გეოიოდების დამუშავება პროექტებული მოთხოვნების შემთხვევაში ქსელურ სისტემები – ი. მიქაელი, ლ. გოჩიტაშვილი, მ. გეგეჭკორი
37. პატენტთა ერთიანი საინფორმაციო მონაცემთა ბანკის სტრუქტურა და რობანიზაცია – ო. ლაბაძე, მ. ცერცვაძე
38. სმენის ასაკობრივი დაწვერილების თავისებურებანი ქალებსა და მამაკაცებში – ნ. შარაშებიძე, ზ. ქვანიშვილი, ა. თუშიშვილი, გ. თუშიშვილი
39. СИНХРОННОЕ ОЗВУЧЕНИЕ ГРУЗИНСКИХ ТЕКСТОВ ВВЕДЁННЫХ В КОМПЬЮТЕР КЛАВИАТУРОЙ ИЛИ ЗВУКОВЫМИ ФАЙЛАМИ - Н. Киладзе, Ф. Коган, Л. Гелиашвили
40. ЛОГИКА РАЗУМНОГО ВЫБОРА - В. Чавчанидзе
41. О ДВУХ ВОЗМОЖНЫХ ПОДХОДАХ МЕТОДА ИСКУССТВЕННОГО КОНЦЕПТУАЛЬНОГО ИНТЕЛЛЕКТА - К.Квинихидзе

42. ИНТЕЛЛЕКТУАЛЬНАЯ СИСТЕМА ДИАГНОСТИКИ НЕКОТОРЫХ ЗАБОЛЕВАНИЙ - Н. Джалибова
43. РЕШЕНИЕ ЗАДАЧИ РАННЕЙ ДИАГНОСТИКИ ЗАБОЛЕВАНИЙ НА ОСНОВЕ КОМПЬЮТЕРНОГО АНАЛИЗА И РАСПОЗНАВАНИЯ СОСТОЯНИЯ ЭРИТРОЦИТОВ ПО ИХ ЭЛЕКТРОННЫМ МИКРОФОТОГРАФИЯМ - В. Радзиевский, Н. Джалибова, М. Хачидзе, Д. Радзиевский
44. ПРИЧИННАЯ ДИАГНОСТИКА И ПРОГНОЗИРОВАНИЕ СОСТОЯНИЯ СЛОЖНЫХ СИСТЕМ И СИТУАЦИЙ В НЕФОРМАЛИЗОВАННЫХ ЗАДАЧАХ ПРИНЯТИЯ РЕШЕНИЙ И УПРАВЛЕНИЯ - В. Радзиевский, Д. Радзиевский

დანართი 2

სსიპ არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის
თანამშრომელთა მიერ პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული შრომები

№	ნაშრომის დასახელება	ავტორი	გამომცემლობა, გამომცემლობის ადგილი
1	2	3	4
1	A bounce phenomenon: Electroacoustic investigation in humans	Gamgebeli ZA, Hofmann G, Burdzgla IB, Pietsch M, Kevanishvili IZ, Tushishvili M, Yarin Y, Kevanishvili ZSh.	<i>Modern Problems of Diagnostics of the Patients with Hearing Loss and Deafness.</i> Moscow, 2006: 44-45 (in Russian).
2	Behaviour of evoked otoacoustic emission under low-frequency tone exposure	Kevanishvili Z, Hofmann G, Burdzgla I, Pietsch M, Gamgebeli Z, Yarin Y, Tushishvili M, Zahnert Th.	Objective study of the bounce phenomenon in humans. <i>Hear Res</i> 2006
3	Reflection of the bounce event into evoked otoacoustic emission: Dependence upon exposure and test-stimulus frequency and intensity	Hofmann G, Burdzgla I, Bomitz M, Gamgebeli Z, Yarin Y, Tushishvili M, Kevanishvili Z, Zahnert Th.	A human study. <i>Otology & Neurootology</i> 2006.
4	The bounce event: Parameter dependence.	Burdzgla I, Pietsch M, Gamgebeli Z, Tushishvili M, Hofmann G, Kevanishvili Z.	<i>Abstractband zur 77. Jahressammlung der Deutschen Gesellschaft für Hals-Nasen-Ohren-Heilkunde, Kopf- und Hals-Chirurgie e. V.</i> Mannheim: rheinware Verlag, 2006: 74-75.
5	A study of the bounce phenomenon in humans via TEOAE recordings: Dependence upon exposure and test-stimulus frequency and intensity	Gamgebeli Z, Hofmann G, Burdzgla I, Yarin Y, Tushishvili M, Bomitz M, Kevanishvili Z, Zahnert Th.	<i>Abstr XXVIII Internat Congr Audiol.</i> Innsbruck, 2006.
6	Структурная и параметрическая идентификация определенного класса нелинейных систем в частотной области	Шаншиашвили В. Г.	Труды V международной конференции "Идентификация систем и задачи управления" (Москва, Россия, 30 января – 2 февраля 2006). SICPRO '06. М., Институт проблем управления им. В.А. Трапезникова РАН, 2006. С.189-202.
7	Определение оптимального веса цилиндрической пружины	Н.Джебладзе, Р.Хуродзе, Б.Гвасалиა.	საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი "მექანიკის პრობლემები". -№1(22). - 2006. გვ. 126-131.
8	Использование сейсмической томографии для изучения и мониторинга эпицентров землетрясений	Н.Джебладзе, Д.Ростомян.	სამეცნიერო პერიოდული ჟურნალი "ინტელექტი". -2006, 1. -გვ. 124-127.
9	არაწრფივი მართვის სისტემის დინამიკური მახასიათებლების მათემატიკური აღწერა.	გ. თავართქილაძე, ნ. ჯიბლაძე.	სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი "ენერგია". 3(36), 2006. -გვ. 61-64.
10	Mathematical Modelling of Economic Cycles and Optimal Investment Strategy Working-Out	M. Salukvadze, N. Jibladze, T. Obgadze, N. Tushishvili.	Book of Abstracts. 24-th International Conference "Mathematical Methods in Economics 2006", 13-15 September 2006, Pilsen, Czech Republic. Pp. 63 (კონფერენციის თეზისები).

11	Mathematical Modelling of Economic Cycles and Optimal Investment Strategy Working-Out	M. Salukvadze, N. Jibladze, T. Obgadze, N. Tushishvili.	Proceeding of the 24-rd International Conference "Mathematical Methods in Economics 2006", 13-15 September 2006, Pilsen, Czech Republic (კონფერენციის მასალები).
12	დაქვის მეთოდის გამოყენებითი ასპექტის შესახებ	ნ. ჯიბლაძე, ო.ხუციშვილი, ო. ხუციშვილი, ე. ბუხრაძე.	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები. მართვის ავტომატიზებული სისტემები. №1, 2006. გვ. 129-131.
13	To the Formalization of the Estimates of the Phenomenon State	Salukvadze M.E., Gogstadze R.Sh., & Jibladze N.I.	International Journal of Information Technology & Decision Making. Vo 6, No.3, 2007, World Scientific, NY, USA.
14	Multicriteria Optimal Design Problems of Ecologically Dangerous Objects and Numerical Methods their Solving.	M. Salukvadze, N. Jibladze, V. Maisuradze, A. Topchishvili	In Book: "Risk and Reliability: Simulation, Estimation and Optimization". Edited P. Knopov and P. Pardalos (გადაცემულია დასაბეჭდად აშშ-ში, გამომცემლობა "Springer").

დანართი 3

პატენტები

1. ო. ლაბაძე. კონტაქტური შედეგების დნობის პროცესის კონტროლის ხერხი. ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი “საქართველო”, პატენტი AP 2006 8564 A. განცხადებულია 28.12.2004 წ., გამოქვეყნებულია 11.09.2006 წ., სამრეწველო საკუთრების ოფიციალური საიფორმაციო ბიულეტენი 2006 წ., № 17, გვ. 11.
2. ო. ლაბაძე, ნ. ყავლაშვილი, ლ. გვარამაძე, ო. საანიშვილი. კონტაქტური შედეგების დნობის პროცესის კონტროლის მოწყობილობა. ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი “საქართველო”, პატენტი AP 2006 8565 A. განცხადებულია 28.12.2004 წ., გამოქვეყნებულია 11.09.2006 წ., სამრეწველო საკუთრების ოფიციალური საიფორმაციო ბიულეტენი 2006 წ., № 17, გვ. 12.
3. ო. ლაბაძე. ინდიკატორი. ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი “საქართველო”, პატენტი P2006 8394 A. განცხადებულია 31.08.2004 წ., გამოქვეყნებულია 11.09.2006 წ., სამრეწველო საკუთრების ოფიციალური საიფორმაციო ბიულეტენი 2006 წ., № 17, გვ. 20.
4. ო. საანიშვილი, ნ. ყავლაშვილი. მუდმივი დენის ძრავის ელექტრომაგნიტური მომენტის მაგნიტოოპტიკური საზომი. ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი “საქართველო”, პატენტი P2006 8635A. განცხადებულია 16.02.2005 წ., სამრეწველო საკუთრების ოფიციალური საიფორმაციო ბიულეტენი 10.11.2006 წ., № 21, გვ. 16.

საქართველოს განიხილება შემდეგი პატენტები

1. ო. ლაბაძე, ნ. ყავლაშვილი, ლ. გვარამაძე, ო. საანიშვილი. კონტაქტური პირაპირა შედეგების ადაპტიური მართვის ხერხი. ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი “საქართველო”, განცხადებულია 23.12.2005 წ., საიდენტიფიკაციო ნომერი (განიხილება).
2. ო. ლაბაძე. ელექტრომაგნიტური სამკორდინატიანი გარდამქმნელი. ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი “საქართველო”, განცხადებულია 15.12.2006 წ., საიდენტიფიკაციო ნომერი 9753/01 (განიხილება).
3. ო. ლაბაძე. ელექტრომაგნიტური სამკორდინატიანი გარდამქმნელი. ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი “საქართველო”, განცხადებულია 15.12.2006 წ., საიდენტიფიკაციო ნომერი 9754/01 (განიხილება).